ხაშურის მოამბე

№21 (202) 28 მაისი, სამშაბათი, 2019 წელი

ხაშურში, საქართველოს დამოუკიდებლობის ასმეერთე წლისთავი დიდი ზეიმით აღინიშნა

1918 წლის 26 მაისი – საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. ეს იყო საუკუნის ნანატრი ოცნება და ამ ოცნებას შეწირული თაობის ნატვრის ახდენის წამი. საქართველოს დემოკრატულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა და დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს შეძლო.

101 წელი გავიდა იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შემდეგ. ბოლო 28 წელიწადი ჩვენი ქვეყანა ყოველ 26 მაისს დღესასწაულობს ამ დღეს,მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი გრანდიოზული და მასშტაბური აღნიშვნა, როგორიც წელს იყო, წინა წლებში არ ყოფილა. საქართველოს ყველა რეგიონულ ცენტრში, ყველა მუნიციპალიტეტში, ნამდვილი დღესასწაულები მოეწყო. 16 საათზე და 20წუთზე კი – ზუსტად იმ დროს, როდესაც 101 წლის წინ შესრულდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი – ქვეყნის ყველა ქალაქში აჟღერდა ეროვნული გამოხატულების სიმბოლო. ბუნებრივია, გამონაკლისი არც ხაშურ-

რი ყოფილა და ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის, ლევან ტაბატაძის მიერ შესრულებული ჰიმნი სრულიად საქართველოს ერთიან ხმას შეუერთდა. თუმცა, მანამდე, სადღესასწაულო ღონისძიებათა მთელი კასკადი იყო. დღესასწაული, ოფიციალურად, 12 საათიდან დაიწყო და საზეიმო განწყობაზე ადგილობრივმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა იზრუნეს. სიმღერა და ფოლკლორული ცეკვები ერთმანეთს ენაცვლებოდა და ქალაქის მთავარ მოედანთან ამღერებული, მოცეკვავე შადრევნის ფონზე საოცარი განწყობა იქმნებოდა. დღესასწაულის დაწყებამდე კი მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და საკრებულოს თავჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და საქართველო-სომხეთის 1918-1919 წლების ომში, ხაშურის რაიონიდან გარდაცვლილ მებრძოლთა საძმო-განსასვენებელი.

მათივე მონაწილეობით, ასე გვირგვინებით შეიმკო სოფელ აძვისში დავით კაპანაძის საფლავი, რომელზეც გამოსახულ წარწერა - „მონობაში ტანჯულო დაუვიწყარო მამავ, შენი ნატვრა აღსრულდა, საქართველო გათავისუფლდა" – ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწაფვის

ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

ქალაქის ცენტრი მოზეიმე ხალხითაა სავსე. ამაღლებული განწყობა და სიხარულია თითოეული მოქალაქის სახეზე. პატარებიც საზეიმოდ გამოწყობილან და მატი მხიარული ჟრიამული ალამაზებს საერთო ფონს.

გიორგი გურასპაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი: –თითოეულ ხაშურელს, სრულიად საქართველოს ვულოცავ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. მართლაც სასიამოვნო სანახავია ამდენი გაღიმებული სახის ხილვა. რაც სასიხარულოა, ამ საერთო განწყობაში არაფერია ხელოვნური და ჩვენი მოსახლეობა, ყველა ერთად, მართლაც გულწრფელად ზეიმობს, ეს კი ერთგავარად, წინაპირობაა იმისა, რომ ჩვენი ხალხი, ქვეყნის წინაშე არსებულ პრობლემებს, ეტაპობრივად, აუცილებლად დაძლევს და ივერიის გაბრწყინებამდე ყველა ერთად მივალთ.

არც ის დრო მეჩვენება შორს, როდესაც უკვე გამთლიანებულ საქართველოში ვიზეიმებთ 26 მაისს. კიდევ ერთხელ ვულოცავთ ყველას დამოუკიდებლობის დღეს...

მიხეილ ჯანაშვილი, საკრებულოს თავჯდომარე: - ვიყოთ გულწრფელები, 15, 10 ან თუნდაც ხუთი წლის წინ, ამ დღეს, ასეთი მასშტაბები არ იყო. ამ

(დასასრული II გვერდზე)

18 მაისს, ისევე, როგორც მთელს საქართველოში, ხაშურშიც აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე. ქალაქის ქუჩებში მოფენილი, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდობა, მართლაც ულამაზესი სანახავი იყო.

სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგი - ფორუმი წყალტუბოში

წყალტუბოში „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის“ მეოთხე ყოველწლიური ფორუმი გაიმართა. ფორუმს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი დაესწრო. ასევე,ღონისძიებაში სახელმწიფო რწმუნებულებმა, საქართველოს თვითმმართველი ქალაქების მერებმა და საკრებულოს თავმჯდომარეებმა, ცენტრალური ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ფორუმზე, ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში, რეგიონული ეკონომიკისა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ძირითადი გამოწვევები განიხილეს. სიტყვით გამოსვლისას გიორგი ხოჯევანიშვილმა შიდა ქართლის რეგიონის პერსპექტივებზე და შესაძლებლობებზე ისაუბრა. ასევე, ხაზი გაუსვა დეცენტრალიზაციის მნიშვნელობასა და თვითმმართველობის მიერ ფინანსების დამოუკიდებლად განკარგვის საკითხს. მისი თქმით, ეს კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტების სწრაფ და ეფექტურ განვითარებას. რწმუნებულმა რეგიონისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებზეც გააკეთა აქცენტი, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

ღონისძიებაზე, პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, ყურადღება გაამახვილა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტზე, მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ პოტენციალზე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, განათლების რეფორმასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის ფორუმი პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ინიციატივით, 2018 წელს დაარსდა. იგი თვითმმართველობის განვითარებასა და დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული დიალოგის პლატფორმაა და საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის არჩეულ მერებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს,რეგიონების რწმუნებულებსა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს აერთიანებს.

ხაშურში, საქართველოს დამოუკიდებლობის ასმეერთე წლისთავი დიდი ზეიმით აღინიშნა

(დასასრული)

დღესასწაულმა, უკვე მთელი თავისი მშვენიერებით და უზარმაზარი შინაარსით, თითქმის ყველა ქართველში დაიდო ბინა და დღეს ეს მათ სახეებზეც ისახება. რა თქმა უნდა, ვულოცავ ყველას დაუმოუკიდებლობის დღეს. ამ დღეს თითქოს უფრო მძაფრდება სამშობლოს სიყვარულის შეგრძნება და მომავლის რწმენა იმატებს. ასეც უნდა იყოს,

ქვეყნის თავისუფლების ასეთი სიყვარული მიგვიყვანს სწორედ დიდ გამარჯვებამდე...

სიმონ ნოზაძე, პარლამენტის წევრი, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი: - დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესია ჩვენი ერისთვის. რა თქმა უნდა, თავისუფლებისათვის ბრძოლა მეოცე საუკუნეში არ დაწყებულა.

იგი დაიწყო მაშინ, როდესაც დედოფალი შუშანიკი გაურჯულოებულ ქმარს განუდგა, როცა ნერსე ერისთავი არაბთა წინააღმდეგ აჯანყებას გეგმავდა, როცა გრიგოლ ხანძთელმა ქვეყნის გაერთიანება ეკლესიის წიაღში გადაწყვიტა. აღარას ვამბობ ილიასა და 60-იანელების ღვაწლზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. და მაინც, რაც უნდა დიდი იყოს პიროვნების როლი, დამოუკიდებლობის მოპოვება მაინც ხალხის, ერის ბრძოლის შედეგი იყო. საუკუნეების ტკივილი ხმიანობს უბრალო, ტყაპუჭიანი მოხევის უკვდავ სიტყვებში: „ჩვენი თავი ჩვენათვე გვეყუდნოდეს...”

დღეს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობთ, მაგრამ სიხარულს სევდაც ახლავს, ჩვენთან ერთად არ ზეიმობენ ჩვენი ძმები - აფხაზები და ოსები. თუმცა, მჯერა, სამართლიანობა აღდგება და საქართველო გაერთიანდება, აი, სწორედ მაშინ იქნება ყველაზე დიდი დღესასწაული და ზეიმი...

საზეიმო ღონისძიებაზე გიორგი გურასპაშვილმა და მიხეილ ჯანაშვილმა წარმატებული სპორტსმენი და მწვვრთნელები ფულადი ჯილდოებით და პრიზებით დააჯილდოვეს. პარალელურად, ცენტრალურ პარკში, კომპანია „ლიდერბეთის” მხარდაჭერით, მინიფეხბურთში, ტრადიციული „დურუს თასი- 2019”-ის ტურნირი გაიმართა, რომელშიც გამარჯვებულები შესაბამისი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გალა-კონცერტით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჯგუფი „სპამ ჯამ”-ი, სოფო საჟინიანი, ლუკა ზაქარაიძე და თორნიკე ყიფიანი.

უცილებლად უნდა აღინიშნოს მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ღვაწლი ზეიმის ორგანიზებაში, რომელიც უნაკლოდ ჩატარდა.

გვიან ღამემდე გაგრძელდა ზეიმი ჩვენს ქალაქში. გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა მოსახლეობის ნაკადი, რომელსაც მცირე უამინდობამაც არ დაასვა დაღი. საერთო განწყობას კი, სრულფასოვნად, ერთი პატარა ბიჭუნას მაისურზე გაკეთებული წარწერა ასახავდა: „მიყვარხარ, საქართველო!”

გოგი გოგოლაძე

გიორგი გაგნიძე - დიდი მაესტრო ხაშურში

გასულ კვირას, ხაშურს პატივი ჰქონდა უნიკალური ხმის მქონე დიდებული ბარიტონის, გიორგი გაგნიძესთვის ემასპინძლა. ბატონი გიორგი უცხოეთში მოღვაწე იმ წარმატებული ქართველების რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც ჩვენი ქვეყანა მრავალგზის ასახელა. მისი წარმოუდგენელი ნიჭის წყალობით, მან რახანია მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და წარმატებით დაიპყრო ოპერის დიდებული სცენები. მასთან გასაუბრების შესაძლებლობა ჩვენს რედაქციასაც მიეცა

და გთავაზობ მცირე ინტერვიუს ბატონ გიორგისთან.

- ბატონო გიორგი, გვითხარით მიზეზი თქვენი ხაშურში ყოფნისა...

— ხაშურში, ამჟამად, დასასვენებლად ვარ. აქ ხშირად ვიმყოფები, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი კლიმატია. ამასთან, ხაშური ძალიან მიყვარს. მთავარი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რომ ხაშური ჩემი დედულეთია, ფაქტობრივად, აქ გავიზარდე. მეუღლეც ხაშურელი მყავს - მაია გოგოლაძე.

- მუნიციპალიტეტის მერიაში ჩვენს ყოფილ რესპოდენტთან ოპერის მომღერალ ლევან ტაბატაძესთან ერთად იმყოფებით, რასთან არის დაკავშირებული თქვენი ვიზიტი?



— დიახ, მეორე მიზეზი, რის გამოც ხაშურში ვიმყოფები, ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდის, ქვიშხეთელი ლევან ტაბატაძეს მხარდაჭერაა. მე მას რეკომენდაცია გავუწიე საერთაშორისო კონკურსზე, იტალიაში, ქალაქ ბუსეტოში ფესტივალზე „ვერდის ხმები". საერთოდ, ოპერის დამწყებ მომღერლებს ვურჩევ, რაც შეიძლება მეტ კონკურსსა და ფესტივალში მიიღონ მონაწილეობა. ეს არამარტო მათი წარმოჩენისათვის არის აუცილებელი, არამედ ამ დროს რეპერტუარიც უფრო მრავალფეროვანი ხდება და შესაბამისად, იზრდები და იხვეწები, როგორც პროფესიონალი. ამ ფესტივალზე, თავის დროზე, თავად პირველი ადგილი დავიკავე და ვთვლი, რომ ეს გამარჯვება ტრამპლინი აღმოჩნდა ჩემი შემდგომი წარმატებისა. ლევანსაც ვუსურვებ წარმატებას, ძალიან ნიჭიერი ადამიანია და მინდა, რომ მთლიანად რაიონმა იცოდეს მის შესახებ და გვერდში დაუდგეს მას, როგორც მორალურად, ისე ფინანსურადაც.

- ბატონო გიორგი, მიმდინარე კონცერტებზე გვიამბეთ და ხაშურელ მსმენელს თუ ექნება შესაძლებლობა თქვენი მოსმენისა?

— ახლახანს, ნიუ იორკსა და პარიზში მქონდა კონცერტები. სამომავლოდ, 27 მაისს, კონცერტი დაგეგმილი მაქვს ბერლინში და შემდგომში ლივერპულში გავემგზავრები. უახლოეს მომავალში, ხაშურში კონცერტი არაა დაგეგმილი, თუმცა, 2 წლის უკან, ბანას მხარდასაჭერ კონცერტზე, ძალიან ბევრი ხაშურელი ესწრებოდა.

- როგორც ვიცით, ამ კონცერტის ორგანიზატორი თქვენ იყავით, გვიამბეთ ვრცლად ამის შესახებ...

— 2017 წელს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, გრანდიოზული საქველმოქმედო გალა კონცერტი — „საოპერო ვარსკვლავები ბანასთვის" გაიმართა. ჩემი ორგანიზებით, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი საოპერო ვარსკვლავები სამონასტრო-საგანმანათლებლო კულტურული და საზოგადოებრივი ცენტრის — „ახალი ბანას" მშენებლობისათვის საჭირო სახსრების მოსაძიებლად გაერთიანდნენ. ქართველ და მათ შორის ხაშურელ მსმენელსაც ჰქონდა შესაძლებლობა, ოპერის სცენაზე, ერთად ეხილა და მოესმინა დიდებული ოპერის ვარსკვლავების შემოქმედება. საქველმოქმედო საღამოდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდა „ახალი ბანას" მშენებლობას.

- ამ მიმართულებით კიდევ თუ იგეგმება სამომავლოდ რაიმე საქველმოქმედო კონცერტი?

— დიახ, სამომავლოდ, დიდი სურვილი გვაქვს კვლავ დავგეგმოთ გრანდიოზული, საქველმოქმედო კონცერტი ბანას მხარდასაჭერად. ვცდილობთ, მოლაპარაკებები ვაწარმოოთ ანდრეა ბოჩელთან, მისი საქართველოში ჩამოსვლისა და კონცერტში მონაწილეობის შესახებ, თუმცა, ეს მხოლოდ იდეის დონეზეა, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. სხვათაშორის, მინდა აღვნიშნო, რომ სურამ-ხაშურის ეპისკოპოსს მეუფე სვიმეონს სურს აღნიშნული კონცერტი სწორედ ბანას მშენებლობის ადგილზე ჩატარდეს. მინდა დავამატო, რომ მეუფე სვიმეონი, რომელიც ავტორი გახლავთ ამ პროექტისა, უძლიერესი პიროვნება

და უკეთილშობილესი ადამიანია, მშრომელი და დაუღალავი. მან უდიდესი საქმეები აკეთა ხაშურის რაიონისთვის და ჩემის მხრივ, ყოველთვის მხარში დაუდგები მას ნებისმიერ წამოწყებაში.

- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის, ბატონო გიორგი და ჩვენ მაინც ვიტოვებთ იმედს, რომ უახლოეს მომავალში, ხაშურლებს ექნებათ შესაძლებლობა თქვენი მოსმენისა...

— ვნახოთ, გამორიცხული არაფერია...

***

"ის არამარტო დაიბადა რიგოლეტოსათვის, არამედ თვით რიგოლეტოა!" — სწორედ ასეთი დიდებული შეფასება მიიღო თავის დროზე გიორგი გაგნიძემ მაესტრო ხოსე კარერასისგან. სწორედ ფესტივალზე „ვერდის ხმები" პირველი ადგილის მოპოვების შემდეგ დაიწყო ქართველი ოპერის მომღერლის აღმავლობის გზა საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც ჟიურის თავჯდომარე ხოსე კარერასი გახლდათ. მეტად რთული საქმე იყო გიორგი გაგნიძის ხმა შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ამიტომაც მსოფლიო ტენორის ერთპიროვნული ფავორიტი სწორედ ის გახდა.

მისი საოპერო კარიერა, ცხადია, საქართველოში დაიწყო. ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი, უკვე ასრულებდა წამყვან საოპერო პარტიებს, აქ იმღერა: ვერდის "ტრავიატა", "ბალ–მასკარადი", ბიზეს "კარმენი", ჩაიკოვსკის "პიკის ქალი", ასევე ქართული ოპერები — "აბესალომ და ეთერი", "დაისი", "ქეთო და კოტე"... ამჟამად, კი წამყვან საპერო თეატრებში მღერის, "მეტროპოლიტენ ოპერაში" სეზონის გახსნაც მოუხდა 2009 წელს. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2012 წლის 6 ნოემბერს გიორგი გაგნიძემ ლა სკალაში ჟილბერტ დეფლოს კლასიკურ რეჟისურაზე ახალგაზრდა ვენეციელი დირიჟორის გუსტავო დუდამელის ხელმძღვანელობით "რიგოლეტო" იმღერა. ამ სპექტაკლმა, 2012 წელს, უმაღლესი მუსიკალური ჯილდო Grammy აიღო.

თ. ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17,18,19,20)

ს.ს. ორბელიანი მიუთითებს: „ზღუდედ ითქმის ყოველივე შემზღუდველი სიმგრგვლით, რაიცა რავე იყოს, კვალად შესაზღუდავი ქალაქთანი, გინა დაბათა, ანუ მცირეთა სათვალეთა და თვალთა პატიოსანთა ბუდე”.

ს.ს. ორბელიანი ასახელებს ზღუდეების რამდენიმე ვარიანტს: „...ესე ზღუდენი განიყოფებიან ათსამად (ათორად): ზღუდედ, გალავნად, ეზოდ, ბაკად, ღობედ, ყორედ, ყეროდ, გისსოიდ, ხირხლად, მასარად, ხიმად და კაწანად”.

„ზღუდე არს ყოვლისავე, რასაცა გარეშემო მოვლებული აქვნდეს, გინა ქალაქთა, გინა სათვალეთა და სხვათა ყოველთავე”.

ს.ს. ორბელიანი ანსხვავებს გალავანსა და ზღუდეს: „ხოლო გალავანი არა ზღუდესა ეწოდების, არამედ კედელთა მაგართა გრძლად ნაგებთა”, „გალავანი არს არა გარე ზღუდედ მოვლებული, არამედ საშუალ სიგრძესა ქვითკირითა ანუ ალიზითა ნაგები”.

ს.ს. ორბელინი ზღუდეების ყველა ვარიანტს თავის განმარტებას აძლევს: „ბაკი არს ხვასტაგთათვის მომტკიცებული, რაისაგანაც იყოს სიმგრგვლედ; ღობე არს ჯალჯთა და ძეძვთამიერი ზღუდე; ყორე არს ქვითა უკიროდ აღნაგები ზღუდე, გინა კედელი; ყერო არს სხვილი ძელი ზეაღმართებით მოვლებული ზღუდედ” და ა. შ.

ს.ს. ორბელიანი აღნიშნავს, რომ „ზღუდე ზოგადი სახელი არს ყოველთა ზღუდეთა, ქალაქთასა გინა ციხეთა, ანუ მცირეთა სათვალეთა”.

ს.ს. ორბელიანი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ „ზღუდე არს ყოველსავე, (რასაცა) გარე მოვლებულ აქვან, გინა დიდსა შენობასა, გინა სათვალესა და საშუალ ამათსა”.

ამრიგად, ზღუდე ზოგადი სახელია, რაზეც ს.ს. ორბელიანიც მიუთითებს. მისგან მიღებულია სახელწოდება ზღუდერი. ჩანს, რომ იგი ადგილის სახელია. ზღუდერი უნდა იყოს იქ, სადაც ზღუდე არის.

ოსიაურთან დაკავშირებით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ აქ ზღუდერის სახელწოდების სალოცავის არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს მოსახლეობის შიდა მიგრაციასთან. მოვიდა ახალი მოსახლეობა და თან „მოიტანა“ თავისი სალოცავიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ ეთნოგრაფიაში, არაერთი ასეთი ფაქტია დადასტურებული. იგივე მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი ოსიაურის სინამდვილეშიც. როგორც ჩანს, ისტორიის რაღაც მონაკვეთში აქ მოხდა მოსახლეობის გადმოსვლა რომელიმე ზღუდერიდან და მათ თავიანთი სალოცავიც „მოიტანეს”. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ოსიაურში ზღუდის რაიმე ნაშთი არ შეიმჩნევა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ოსიაურში გვხვდება გვარსახელი – ზღუდაძე (ზღუდრიშვილი), რომელიც ამ გვარის სადაურობაზე მიგვანიშნებს.

XVI-XIX საუკუნეების ზოგიერთ დოკუმენტში ოსიაური ოსეურის ფორმითაც გვხვდება. დეროთეოზ კათალიკოსის იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელში დადასტურებულია ორივე ფორმა.

პროფ. შ. ქურდაძის აზრით, „პირველადი უნდა ყოფილიყო ოსეური ან ოსეაური. ხოლო შემდეგ ფონეტიკურ საფუძველზე მივიღეთ ოსიაური. ამგვარი ფონეტიკური პრინციპების თაობაზე პროფ. გრ. იმნაიშვილი წერს: „ეა იძლევა ია-ს. ეა კომპლექსის პირველი კომპონენტის ი-დ დავიწროება ა-ს დისიმილაციური გავლენით ჩვეულებრივი მოვლენაა ბევრ კილოში. იგი დადასტურებულია სალიტერატურო ქართულშიც (ძველშიც): მას ვხვდებით ქართლურშიც აქა-იქ (ყველა კუთხის მეტყველებაში მეტ-ნაკლებად); მაგალითად: მიათე (–მეათე); ვიახელ (–ვეახელ); ღამია (–დამეა); ტყია, ხია, საქმია, ვისმია, ვაკია და ა. შ.”

ჩვენი აზრით, ოსიაურის თავდაპირველი სახელწოდება ოსიაურია (შესაძლებელია ოსეურიც). იგი ნაწარმოებია –ურ სუფიქსით, ძირია –ოსია (ან – ოსეა), რაც ადამიანის სახელია. ამდენად სახელწოდება – ოსიაური (ოსეური) ანთროპონიმური წარმოშობისა უნდა იყოს. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ქართულ ანთროპონიმიკაში დასტურდება ადამიანის სახელები – ოსია და ოსე. ეს სახელები გვხდება ძველ ქართულ დოკუმენტებშიც.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ მოიხსენიებს ოსიაურს. იგი ამბობს, რომ „ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამის-წყალს ქემერტის-წყალი, აღმოსავლიდამ“.

იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ სურამის წყლის ხეობის სოფლებში აფიქსირებს ოსიაურს, როგორც მოსახლე სოფელს.

პირველი დოკუმენტი, რომელშიც ოსიაური მოიხსენიება, არის გიორგი ბატონიშვილის შეწირულობის სიგელი იტრიის ეკლესიისადმი. 1584 წელს, დეროთეოზის თხოვნით, იტრიის ეკლესიას გიორგი ბატონიშვილმა – სიმონ მეფის შვილმა, შესწირა „ოსიაურს მალიძე შოშიტაი მისითა შვილითა და მამულითა“. აქვე, ოსიაურში, იტრიის ეკლესიას სწირავს გიორგი ბატონიშვილი ვენახს ნატბევში, აგრეთვე სამ ხოდაბუნს. ამავე წლის დეროთეოზ კათალიკოსის იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელიდან ირკვევა, რომ დეროთეოზს ჯერ კიდევ XVI საუკუნის 20-იან წლებში გიორგი IX-გან შეუძენია ოსიაურში „ხოდაბუნები“, ხოლო იტრიის ეკელსიის აშენების შემდეგ ეს ხოდაბუნები მისთვის შეუწირავს: „კიდევ სამი ხოდაბუნნი მიწანნი ოსიაურს, გასამძღვრული არის ნატბევშია. კიდევ ნასყიდი მიწები შუაველას ერთი ხოდაბუნი, - ეს ყუალა გიორგი მეფისაგან მოსყიდული და მოქრთამებული არის“. ამავე დოკუმენტში დაფიქსირებულია გიორგი ბატონიშვილის მიერ ოსიაურში იტრიის ეკლესიისადმი შენაწირიც, რომელიც დეროთეოზმა იტრიის ეკელსიას შესწირა: „ოსიაურს მალიძე შოშიტაი მისის შვილითა და მომავლითა“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მალიძეების გვარი სხვა წყაროებითაც დასტურდება ოსიაურში. (იხ. რუისის სამწყსოს დავთარი).

1629 წელს, თეიმურაზ I ოსიაურს სწირავს სვეტიცხოველს. „ზემო ქართლს სოფელი ოსიური მათისა სამართლიანითა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, სანადიროთა, ყოვლითური უკლებელი თქუენთუის მოგუიხსენებია და შემოგუიწირავს თუინიერ რაც იტრის შეწირული არის, იმას გარეთ სოფელი ოსიური“.

1715 წლის 23 მარტს, ვახტანგ VI–ემ „უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი და საბოლოოდ გამოსადეგი წყალობისა და სითარხნისა წიგნი და სიგელი“ უბოძა ოსიაურელ ბეჟან გოგიბაშვილს და მის შვილებს - კაციას, ბიძინას, გივის, დათუნასა და ოთარს.

1715 წლის რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთრის მიხედვით, ოსიაურში 23 კომლია. (ხელუბანიშვილი (2), ნოზაძე (2), ხუციშვილი (2), თომაშვილი, პაპაშვილი, კუტიშვილი, ბერუაშვილი (2), ზაქუაშვილი (2), დაბრუნდაშვილი (2), ხაბელაშვილი, გელაშვილი, თანდილაშვილი, აუმტარი, საბაიკიძე, ფარეში, კოჩაძე (2), მალიძე, ბაქრაძე, იამანიძე (2), ჩინჩალაძე, მერაბიშვილი).

1728 წელს აქ 69 კომლი ცხოვრობს. ყველა იხდის საოსმალო გადასახადს, რაც შეადგენს 19330 ახჩას.

თეიმურაზ II–ის 1756 წლის ზემო ქართლის მორიგე ლაშქრის ნუსხის მიხედვით, ოსიაურიდან ლაშქარში უნდა გასულიყო ერთი ცხენოსანი. „ოსიაურიდან ცხენოსანი“–ნათქვამია ნუსხაში.

1772 წელს, ერეკლე II ოსიაურს ვეზირიშვილებს აძლევს და აქ მკვიდრდება ეს გვარი. „ესე წყალობის სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს დიდად ერთგულს და ჩვენს საფარველს ქვეშ აღზრდილს, მირზა იბრეიმას შვილს, გოგიას. ასე რომელ მოხველ კარსა დარბაზისა ჩვენისასა და მამულისა და ყმის წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ოსიური სოფელი მას შიგან მსახლობელის გლეხით“.

როგორც შემდგომი პერიოდის (1782 წ) დოკუმენტებიდან ირკვევა, გლეხთა ერთმა ნაწილმა არ ისურვა ვეზირიშვილების ყმობა და მოინდომა კვლავ სახასო გლეხების კატეგორიაში გადასვლა. „...ჩვენ ბატონის სახასო ყმანი ვიყავით და ბატონმა ჩვენი თავი თქვენ გიბოძათ და ჩვენ ისევ ჩვენის ბატონის ყმობა გვინდოდა“. როგორც ირკვევა, გლეხები იძულებულნი გახდნენ, თავიანთი დანაშაული თავს „ედვათ» და პატიება ეთხოვათ ვეზირიშვილისათვის.

XVIIIს–ის მეორე ნახევრის არაერთ ისტორიულ დოკუმენტშია მოხსენიებული ოსიაური.

თითქმის XVIII ს-ის მანძილზე, ოსიაურმა არაერთხელ განიცადა ლეკთა თავდასხმები. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა ლეკებისა მოხდა 1731 წლის 24 სექტემბერს, როცა მათ გადაწვეს ოსიაური. ოსიაურის მოსახლეობა ლეკებთან ბრძოლაში იღუპებოდა, ნაწილი ტყვედ მიჰყავდათ. ერთ–ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც 1775 წელს არის შედგენილი, აღნიშნულია, რომ ოსიაურელი მახარა ტყვედ სამჯერ წაუყვანიათ ლეკებს. აქედან ორჯერ თავად დაუხსნია თავი, ხოლო მესამედ ეს ვეღარ შეძლო და ერეკლე მეფეს სთხოვა, რომ ან თვითონ დაიხსნას მეფემ, ან ოქმი უბოძოს, რომ სხვამ დაიხსნას.

1793 წლის ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ გიორგი ვეზირიშვილს და დათუა გვერდწითელს დავა ჰქონიათ მამულებზე. გვერდწითელი ვეზირიშვილს ედავებოდა მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს: „გაღმა ოსიაურისაკენ წყლის პირი და ჭალა ჩვენი არისო». როგორც ირკვევა, მათ შორის დაძაბულობა საკმაოდ დრამატული ხასიათისაა. თუმცა, აშკარად ჩანდა, რომ „ოსიაურის მხრისკენ წყლის პირიც ოსიაურის ყოფილა და ჭალაცა»,

ოსიაურელი მუშა, ხაშურელ და სურამელ მუშებთან ერთად მოიხსენიება სამგორის არხის მშენებლობაზე. მას გასამრჯელოდ მიუღია „ორი მინალთუნი და ხუთი შაური“.

1865 წლის აღწერით, ოსიაურში 56 კომლი მოსახლეა (10 სახელწმიფო, 5 საეკლესიო და 41 დროებით ვალდებული).

1886 წლის აღწერით კი, აქ უკვე 150 კომლი მოსახლეა (368 კაცი და 315 ქალი, სულ 683 კაცი). მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, ქართულია (133 კომლი, 321 კაცი და 265 ქალი). მათ გვერდით სახლობენ სომხები (17 კომლი, 47 კაცი და 50 ქალი).

1930 წლის 1 ნოემბრისთვის ზემო ოსიაურში ცხოვრობდა 187 კომლი (840 კაცი). ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ქართველია 137 კომლი, სომეხი–47, ოსი–2 და რუსი–1. 1933 წელს ქვემო ოსიაურში 45 კომლი მოსახლეა. მოსახლეობის ძირითადი შემადგენლობა ქართველები არიან.

ოსიაურში სახლობენ გვარები: ახალკაცი, ბარბაქაძე, ბეგიჯანაშვილი, ბუხრიკიძე, გაგლოშვილი, გაგნიძე, გამრეკელი, გასიშვილი, გელაშვილი, გელდიაშვილი, გიგუაშვილი, გოგალაძე, გოჩიაშვილი, დაბრუნდაშვილი, დიასამიძე, ელბაქიძე, ენჯიბაძე, ვალიშვილი, ზედგენიძე, ზღუდაძე, ივანიძე, კაპანაძე, კიკაძე, კობერიძე, კოდოევი, კოლოდი, კორკოტაძე, კაბერაშვილი, ლაცაბიძე, ლომიძე, მარაბდელი, მაღალდაძე, მახარაშვილი, მეტივიშვილი, მთიულიშვილი, მჭედლიშვილი, ნოზაძე, ოსკანაშვილი, ტაბატაძე, ტუსიაშვილი, ურიადმყოფელი, ქართველიშვილი, ქიმერიძე, ღონღაძე, ჩადუნელი, ჩებიჩაშვილი, ჩერქეზიშვილი, ცაცანაშვილი, ცენგერაშვილი, ძამანაშვილი, ძულიაშვილი, ჭავჭავაძე, ჭანკოტაძე, ხაბელაშვილი, ხარაზიშვილი, ხარაიშვილი, ხარხელი, ხაჩიძე, ხორგუაშვილი, ხოსიტაშვილი (ზემო ოსიაური), ალიბეგაშვილი, არბოლიშვილი, ახალკაცი, ბადრიძე, ბერიძე, ბერძენიშვილი, ბლიაძე, ბუხრიკიძე, გელაშვილი, გემიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ზღუდაძე, თედეშვილი, თიბილაშვილი, კაბარაშვილი, კაკიაშვილი, მაისურაძე, მარაბდელი, მახარაშვილი, მეტივიშვილი, ნასყიდაშვილი, ნიქაბაძე, ფილიშვილი, ქელეხსაშვილი, ძაბახიძე, ხუციშვილი (ქვემო ოსიური).

ოსიურის მსგავსი სახელწოდების სოფელი გვხვდება ახმეტის რაიონში, მდ. ოსიურიხევის (ალაზნის აუზი) ნაპირზე. გუდაუთის რაიონში არის სოფელი ოსიაარხუ (ყულანურხევის სასოფლო საბჭო).

ოსიურში მდებარეობს მატერიალური კულტურის რამდენიმე ძეგლი: ზღუდერის წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის ეკლესიები და ოსიურის ციხე (გვიანფეოდალური ხანა).

ოძისი – სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ზ.დ. 850 მ. ხაშურიდან დაშორებულია 12 კმ-ით. შედის ცოცხნარის სასოფლო საკრებულოში.

ერთ-ერთი უძველესი სოფელია. პირველად მოიხსენიება ქართლის კათალიკოსის – დეროთეოზის იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელში (XVI ს. 80-იანი წლები).

ქართული ისტორიული მწერლობა იცნობს ოძისს. ვახუშტი ბატონიშვილს იგი დატანილი აქვს რუკაზე. ასევე, იოანე ბატონიშვილიც სურამის წყლის ხეობის აღწერის დროს აფიქსირებს მას, მაგრამ ამ დროს (XVIII ს. 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს.

ოძისი აბაზაძეების მამულია.

1715 წელს, რუისის სამწყსოს აღწერის დავთარში, ოძისიდან 28 კომლია შეტანილი (აბაზაძე, ღვარძლაძე (3), ჟღენტი (2), სოლოკაძე, ჯორელიშვილი, გვეხიძე (4), ბრეგვაძე, კობალაძე (2), ლიპარიტაშვილი, კიკნაძე (1), მაჭარაშვილი (2).

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

პატარა ვუნდერკინდი სურამიდან

სურამის #3 საჯარო სკოლაში უნიჭიერესი და, შეიძლება ითქვას, ისტორიის მომავალი დიდი მკვლევარი თევდორე ლაბაძე იზრდება. თევდორე ჯერ მხოლოდ მე-2 კლასშია, თუმცა რაიონის მასშტაბით ცნობადობა უკვე მოიპოვა, მისი უნიკალური ნიჭის წყალობით. იგი საოცრად გატაცებულია ისტორიით და უამრავ მოზარდზე უკეთ ერკვევა მასში. საკმარისია, რომელიმე მეფეზე ცნობები კითხოთ, იგი დამაჯერებლად დაიწყებს თხრობას, თარიღიდან მისი გამეფებისა - გარდაცვალების თარიღამდე. ჩვენ, რა თქმა უნდა, სკოლაში ვესტუმრეთ თევდორეს და პირადად გავიცანით ეს უნიკალური ბავშვი. თავდაპირველად ცოტა დაიმორცხვა, თუმცა, როგორც კი მისი საყვარელი მეფის ერეკლე II შესახებ ვკითხეთ, ბოლომდე გაიხსნა და ამბავი დიდებულ ქართველ მეფეზე შეუფერხებლად ჩამოარაკრაკა. ჩვენ, ცხადია მოვიხიბლეთ თევდორეს განსაკუთრებული უნარებით და უდიდეს მომავალსაც ვუწინასწარმეტყველებთ, მთავარია ამ ასაკიდანვე ხელშეწყობა.

სკოლაში ყოფნის დროს ჩვენ გავესაუბრეთ თევდორეს კლასის დამრიგებელს მანანა შენგელიას.

- ქალბატონო მანანა, როდის შეამჩნიეთ პირველად თევდორეს განსაკუთრებული ინტერესი ისტორიის მიმართ?

— პირველ რიგში, მინდა, გითხრათ, რომ ყველა აღფრთოვანებულები ვართ თევდორეს უნიკალური ნიჭით. ის არის ნამდვილად ბავშვი-აღმოჩენა. მისი განსაკუთრებული უნარის შესახებ, ცხადია, პირველი დღიდანვე არ შეგვიტყვია, ეს უკვე სწავლის პერიოდში მოხდა. შევამჩნიე, რომ საინტერესოდ პასუხობდა საქართველოს ისტორიის შესახებ დასმულ კითხვებს. უფრო სიღრმისეულად რომ დავაკვირდი, აღმოჩნდა, რომ თევდორემ თავის ასაკთან შედარებით, გაცილებით უკეთ იცოდა ისტორია. შემდგომში, მასთან ერთად შევდიოდი უფროს კლასებში, მოსწავლეები უსვამდნენ კითხვებს და ყველა გაოცებული რჩებოდა თევდორეთი. ჩვენი სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ნათელა გოგოლაძემ სკოლაში შექმნილ ინტერნეტ ტელევიზიის გადაცემაშიც მიიწვია და მისი ცნობადობა კიდევ უფრო გაიზარდა, მისი ნიჭის შესახებ კიდევ უფრო ბევრმა ადამიანმა გაიგო. ამასწინათ, ექსკურსიაზე მყავდა წაყვანილი მცხეთაში და სვეტიცხოველში ყოფნისას, საოცარი ემოცია გამოიწვია ჩემში ამ 8 წლის ბავშვმა. მან ჩინებულად გვიამბო ტაძრის ისტორიაზე იქ დაკრძალულულ მეფეებზე, ტაძრის წინამძღვარმა გიდობაც კი შესთავაზა ჩვენს პატარა ისტორიკოსს. საერთოდ, ძალიან აქტიური ბავშვია, ბოლომდეა ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

გარდა ისტორიისა, მისი საყვარელი საგნებია ქართული და მათემატიკა. გატაცებულია სპორტით, ასევე მუსიკით, დადის ფორტეპიანოზე, მღერის ანსამბლში, თამაშობს ჭადრაკს. ყველაფერ ამის მიუხედავად, ასწრებს, რომ მეგობრებთან ერთად ფეხბურთი და კალათბურთი ითამაშოს. საიდუმლოდ

შევიტყვეთ, რომ პრეზიდენტობა სურს, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში კი, როგორც თვითონ ამბობს, საქართველოში არცერთი გაჭირვებული ოჯახი აღარ იქნება.

უნდა გითხრათ, რომ თევდორეს ფენომენის უკეთ გასაგებად მისი პირადად გაცნობა და მასთან მცირედი საუბარიც კმარა. მას წინ აშკარად ნათელი მომავალი ელის. ჩვენ, „ხაშურის მოამბე", როგორც ხაშურის ისტორიის მემატიანე და მრავლის მნახველი, ყოველთვის გულშემატკივარი ვიქნებით თევდრეს განვლილი გზისა და უეჭველი წარმატებისა, და იმედია, მასთან შეხვედრა მომავალშიც არაერთხელ მოგვიწევს ჩვენც და ჩვენს მკითხველსაც.

თ. ახალკაცი

აღში სანიაღვრე არხი მოეწყობა

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში სანიაღვრე არხის-სადრენაჟე ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

საპროექტო დოკუმენტაცია, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიასა და USAID Zrda პროექტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, USAID Zrda-ს მხარდაჭერით მომზადდა.

პროექტისთვის თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო და მისმა ჯამურმა ღირებულებამ 24 774 ლარი შეადგინა.

სამუშაოების მიმდინარეობა ადგილზე დაათვალიერეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილმა, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსმა გიორგი პაპიაშვილმა და Zrda-ს წარმომადგენელმა ნონა თათეშვილმა. მათი განმარტებით, პროექტი ადგილობრივების საჭიროებიდან გამომდინარე ხორციელდება და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ემსახურება.

ბიჯნისის წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ

ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილმა ადგილზე გააცნეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელ ირაკლი თოფურიას და შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს სიმონ გულედანს.

ბიჯნისის წყლის სათავე-ნაგებობის მასშტაბური პროექტი აქტიურად მიმდინარეობს.

ათწლეულების განმავლობაში, სათავე-ნაგებობა სავალალო მდგომარეობაში იყო. წყალი გაუფილტრავად და წყვეტილ რეჟიმში მიეწოდებოდა მოსახლეობას.

პროექტის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვლება არსებული სიტუაცია. მდინარე ბიჯნისულას ხევში, ჰორიზონტალური სალექარების სახით, ახალი სათავე-ნაგებობა მოეწყობა, აქედან წყალი გადავა ულტრაფილტრაციის კომპლექსის შენობაში და გაივლის საბოლოო გაწმენდის პროცესს. გაფილტრული წყალი, დეზინფექციის შემდეგ, გადაიქაჩება სუფთა წყლის რეზერვუარში და იქიდან მიეწოდება აბონენტებს.

პროექტი გარდამავალია, ექსპლუატაციაში 2020 წელს შევა, მიმდინარე წელს კი გათვალისწინებულია სათავე-ნაგებობის და საქლორატოროს რეაბილიტაციის დასრულება.

პროექტის ჯამური ღირებულება 1248 991 ლარს შეადგენს და ადგილობრივი ბიუჯეტისა და სახელმწიფო სახსრების თანადაფინანსებით ხორციელდება.



არსენ გომარელი - საოცარი ხელოვანი ქვიშხეთიდან

არ ვიცი, ხაშურში რამდენად კარგად ვიცნობთ მხატვარ **არსენ გომარელს**, რომელსაც გერმანიაშიც, უკრაინაშიც და ჩვენს დედაქალაქშიც ძალიან კარგად იცნობენ, როგორც თვითნასწავლ, ნიჭიერ მხატვარს, გამორჩეულს მიგნებებით, თვითმყოფადობით, ემოციებით და დამოკიდებლებებით. გამორჩეულ მხატვარს,სახლიც გამორჩეული აქვს, ქვიშხეთში-შორიდანვე გამოარჩევ, ჩვენი ნაცრისფერი სახლებისგან განსხვავებულ, ფერად სახლს.. კარს მიღმაც სხვა სამყაროა, ყველა ნივთს თავისი ადგილი და ფერი აქვს. როცა შედიხარ, გარეთ ტოვებ ყველა ადამიანურ დარდს და წუხილს. როგორც არსენმა გვითხრა, „არტ ჰაუსი ქვიშხეთი“ მალე კულტურისა და ხელოვნების პატარა კერად იქცევა, რომელიც იმ ადამიანებს გააერთიანებს, ვისაც ურთიერთობები უყვარს და ხელოვნების თაყვანისმცემლები არიან. გარდა ამისა, ტურისტებს, ჩამოსვლა და დარჩენაც შეეძლებათ. თუ როგორ ქმნის ამ საოცარ სამყაროს, საოცარ ტილოებს, რა იყო წარსულში და რას აპირებს მომავალში, თავად არსენი გვიამბობს:



– ადრეული ბავშვობიდან დამიწყია ხატვა, იმდენად პატარა ვიყავი, არც კი მახსოვს პირველი ნახატი როდის დავხატე, მხოლოდ ის მახსოვს, დედამ ეზოში ჩემი ნახატების გამოფენა რომ მომიწყო. აქედან უკვე იწყება ჩემი შემოქმედებითი მეხსიერება, რადგან ხატვის გარეშე არ მიცხოვრია არასდროს.

- როგორც ვიცი, განსხვავებული პროფესია გაქვს, რას თვლი შენ პირველ პროფესიად?

–ჩემი აზრით, პირველი პროფესია ადამიანობაა, მერე მოდის სხვა დანარჩენი. ჩემი სამყარო შევქმენი, ჩემი სულის თავშესაფარი დავარქვი ამ ყველაფერს. კონტრასტებით სავსე ცხოვრება მქონდა, მონასტერშიც ვიყავი გარკვეული პერიოდი, საკუთარი თავის ძიებაში ვიყავი, ბევრი რაღაც ვცადე, მოვსინჯე, მაგრამ ხატვაზე უარი არასდროს მითქვამს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრობაში პროფესიული განათლება არ მიმიღია და თვითნასწავლი მხატვარი ვარ, დიდი ხნის წინ მივხვდი, რომ ამის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო.

- რაზე ხატავ? ყველაზე დიდ ინსპირაციას რა გაძლევს?

–ძირითადად ტილოზე ვხატავ. ადამიანი ყველაზე დიდი ინსპირაციაა ჩემთვის, მისი ხასიათი, შინაგანი მდგომარეობა, ჩემთვის, როგორც მხატვრისთვის და ადამიანისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანია. რა შეგრძნებაც მოდის ჩემგან, იმას ვხატავ, კონკრეტული ჟანრი არ მაქვს, მხატვარი თავისუფალი უნდა იყოს, აქედან მოდის შთაგონებაც და სხვა დანარჩენიც.

- რა ფერში დახატავდი სამყაროს?



–ლურჯი, ცისფერი ჩემი ფერია, მარადისობის სიმბოლოა, ცისკენ მიმართული, ალბათ, ამ ფერში დავხატავდი.

- შენს ნამუშევრებს ყიდი?

–ჩემი შემოსავლის წყარო არ არის ეს, მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როცა საქმე არსებობას ეხება,



კიევში ყოფნის დროს, მომიწია ჩემი ნამუშევრების გაყიდვა. შეიძლება არ მომეწონოს ადამიანი და იმას არც მივყიდო ნახატი,თუ მომწონს,უსასყიდლოდაც მიჩუქებია. ბევრ რაღაცას განსაზღვრავს ჩემთვის ადამიანური თვისებები. ძალიან რთულია. როცა ეს კომერციაა, ასე მგონია, შედეგი იკარგება და ცდილობ, მოერგო იმ დღევანდელობას, ხატო ის, რაც გაყიდვადია და არა ის, რაც შენია და ემოცია დევს. მირჩევნია ისეთმა ადამიანმა იყიდოს, რომელიც გრძნობს ნახატს, შინაარსს.

- გამოფენები თუ გქონია?

–პერსონალური გამოფენა თბილისშიც მქონდა, კიევშიც, გერმანიაშიც მქონდა ორი. გერმანიაში და საქართველოში ერთდროულად იყო ჩემი გამოფენები. სიმართლე გითხრათ, ჩემი გამოფენები ძალიან საპასუხისმგებლოა ჩემთვის და დიდ ემოციებთანაა დაკავშირებული.

- რომელი მხატვრები მოგწონს ყველაზე მეტად, რომლებიც შენთან ახლოს არიან?

–მოდელიანი, ვანგოგი, ფიროსმანი. როცა მხატვრის ცხოვრებას ეცნობი, უფრო მეტად უახლოვდები მხატვარს და გრძნობ მის შემოქმედებას. თანამედროვე ქართველი მხატვრებიც ძალიან მომწონს.

- შენი შემოქმედებიდან, რომელ ნახატს გამოარჩევდი, რომელსაც ვერსადროს გაიმეტებ გასასხვისებლად?

–არის ასეთი ნახატი, სახასიათო “კაცი, რომელიც ცდილობს გააფერადოს ნაცრისფერი ცხოვრება”. ბევრჯერ მთხოვეს გაყიდვა, ზოგმა ჩუქებაც, მაგრამ ვერ გავიმეტე. სხვებიც მომწონს, მაგრამ ეს ნახატი ემოციურად ძალიან ახლოსაა ჩემთან.

- ეს სახლი, არ ჰგავს სტანდარტულ სახლებს, შორიდანაც კი ეტყობა, რომ აქ ხელოვანი ცხოვრობს...

–მესამე თვეა აქ ვარ, აქ მინდა დავმკვიდრდე, სამომავლო მიზნებიც მაქვს. ბევრი რამე ვცადე ცხოვრებაში, ბევრ ქვეყანაში ვიყავი, გამოცდილებაც მივიღე. ერთი რაღაც ვისწავლე, დროის ფასი. აქ, ახლა, პატარა სამხატვრო და საგამოფენო სივცე მოვაწყე. მაქვს ჩემი სამუშაო ოთახი, სადაც დროის დიდ ნაწილს ვატარებ, ხატავ და ძირითადად ჩემი ნახატებია წარმოდგენილი. მეორე ოთახი საგამოფენო სივრცედ ვაქციე, სადაც უკვე ის ტილოებია, რომლებიც სხვა მხატვრებს ეკუთვნის. ამ სახლს გალერიის გარდა, ტურისტული დანიშნულებაც ექნება სამომავლოდ, სადაც ტურისტებსაც ექნებათ შესაძლებლობა, გაეცნონ ხელოვნებას, შეიძინონ ნახატებიც, მოეწყობა საღამოები. ბევრი გათვლა და გეგმა მაქვს, რომელსაც ეტაპობრივად განვახორციელებ. ზაფხულში უკვე ველოდები გერმანელ სტუმრებს.

- სტუმრიანობა ახლაც გაქვთ...

–ამჟამადაც მყავს ჩეხი სტუმრები, სვანეთში მიდიოდნენ, იმდენად მოეწონათ გარემო, გადაიფიქრეს სვანეთში წასვლა და აქ დარჩნენ. ბევრი რამე მაქვს მოსაწესრიგებელი, რაც ბევრად საინტერესოს გახდის ამ გარემოს და მრავალფეროვანს. მინდა, რომ ეს სახლი იყოს კერა ადამიანების შეკრების, რადგან ვთვლი, რომ გულწრფელი დამოკიდებულებები, ურთიერთობები აკლიათ ადამიანებს, სწორედ ეს მინდა შევცვალო, ამის დეფიციტი შევავსო.

თ, ჯავახიშვილი

გაზეთის -“ხაშურის მოამბე” -რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეკა ბაქრაძეს მამის,

ჯემალის

გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.